სახალხო გაზეთი

№ 910 ოთხშაბათი, 5 ივნისი 1913 წ. № 910

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დამეტდა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სიდამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ედირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ საავეტრო სახლის ლ. და მ. მეტლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკაის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დახმეტილი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, ხადმოთი 3-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახალხის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 3 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ეროვნულ-დღიური საპოლიტიკო და საოლქო-ლიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი თიბათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **5 მ. 25 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

ილია ჭავჭავაძე:

კაცია ადამიანი?	20 კ.
გლახის ნაამბობი	20—
ოთარაანთ ქვრივი	18—
ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი	3—
სახრობლაზე	5—
მგზავრის წერილები	7—
გლეხთა განთავისუფლების პირველ დროის სცენები	7—
უცნაური ამბავი	4—
რჩეული ლექსები	7
განდეგილი	5—
კაკო ყაჩაღი	5—
დედა და შვილი	3—
დიმიტრი თავდადებული	7—

აი ისტორია	35 კ
ცხოვრება და კანონი	25—
კრიტიკული წერილები	25—
პოლემიკური წერილები	10—

ახლად მიღებული წიგნები:

შიო მღვიმის ამი სიგელი სარ. კაკაბაძისა	40 კ.
ანდერძი დავით აღმაშენებელისა, შიომღვიმისათვის დაწერილი	30—
სიგელი მსახურთ უხუცესის გრიგოლ სურამელისა, 1250 წ შიო მღვ. დაწერ.	15—
მცხეთის საკათალიკოსო მამულების გუჯარი, 1447—1448 წ გიორგი IX ს მიერ ბოძებული	10—

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

ეძ ვ. დ. ღამბაშიძის

სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი

პამბარა-ცემი

გაიხსნება 15 თიბათვეს—31 მარიამობისთვემდე.

მისამართი ფოსტით: ტფილისი, ეძ. ვ. დ. ღამბაშიძეს.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიების ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სახტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი გ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12 [illegible]—[illegible] ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტაცია ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და მშობიარეთა სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე [illegible]—[illegible]. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—4.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაძრაძე-დედაბერიშვილისა ყ.**-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 **ფედოროვი ბ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 0—[illegible]. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფიზდოევი ბ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის ა ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და სანბაქტეოიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, თაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 0 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606" და „914" წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გამცემი"

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა

ძმ. ტარნოპოლეგისა.

განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.

მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ.

ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ.

სოფიო ნიკოლოზის ასული, ანნა ივანეს ასული და **მიხეილ ივანეს ძე გერმანოვიჩები** უღრმეს მადლობას უხდიან ყველა მათ, ვინც პატივი სცა პირადად ანუ წერილობით, პირველთა შვილისა და მეორეების დისა

მარიამ ივანეს ასული გერმანოვიჩის

ხსოვნას. 332

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—12½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშა ათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. 1—2 ს. მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. ავრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლოგა „606"-ით 1053

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ციდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი შ. ა. მიქელაძე. იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—8 ნახ. საათ. კახეთის ქ., № 6.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **თაშანგრისა** და **კანის** ავადმყ.; **ვენერიანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. ძოწამლ. სისხლს. შიდგება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ედიანაბედ.** ქ., № 94, კიროვნი ქუჩის ახლო, საფოსტო ადგილი. პირდაპირ. 102

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **ხემოონოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძველის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუბისა და ნაწლავთა ავადმყ. და საშრდიანებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ტლექ. და დამპალი ციება პარიზელ კლინიკ. პროფ. **Mathieu.** **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი ა. ბ. ხოლოდაშვილი

ბაბილის იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი ივ. ბოგმართელი პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307.

ექიმი ქუთაისში ვ. თ. ტყეშელაშვილი. ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

სახელმწიფო სათათბიროს

(დეპეშათა პეტერ. საააგენტოს)

1 ივნისის სხდომა

თავმჯდომარეობს **როძიანკო.** ისევ სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ ლაპარაკობენ. **ჯრუპენსკი პირველი** ცენტრის ჯგუფის სახელით იწონებს მოქმედებას სამინისტროსას, რომელმაც პოლიტიკა განდევნა სკოლიდან, მაგრამ ამით არა კმაყოფილდება. ორატორს საჭიროდ მიაჩნია, ყველა ღონისძიება იქმნას მიღებული, რათა მოსწავლეთ სამშობლო შეაყვარონ და რუსული სახელმწიფოებრივი აზრები ჩაუნერგონ. საჭიროა სოფლის მასწავლებელი აღზრდილი იყოს ნაციონალურად, საჭიროა ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც ჩაუნერგავენ მოსწავლეთ პატრიოტულსა და მოვალეობის გრძნობას. განსაკუთრებით საჭიროა სკოლაში ფიზიკური აღზრდა. ჯრუპენსკის შეაქვს წინადადება, დაუყოვნებლივ შეიმუშაოს სამინისტრომ კანონ-პროექტი დაბალ და საშუალო სკოლების მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდის შესახებ.

სავენკო, მალოროსი, უპასუხებს მემარცხენე ორატორებს, რომლებიც ესარჩლებიან ვითომც დაჩაგრულ უკრაინას. სავენკო აღნიშნავს, უკრაინული მოძრაობა მართლაც არსებობს, მაგრამ დასამტკიცებელი საბუთი ამ მოძრაობის სისუსტისა ის არის, რომ საათბიროში არც ერთი უკრაინელი არ არის. მალოროსიამ არ გაგზავნა საათბიროში ამ მოძრაობის წარმომადგენელი და ამით საუკეთესოდ დააფასა იგი. უკრაინობის ძირითადი საფუძვლები სიცრუე და ფალსიფიკაციაა. მალოროსიის მცხოვრებთ სრულიად არ ესმით გრუშევსკის მიერ შექმნილი დომხალი, რომელსაც უკრაინული ენა დაარქვეს. ამგვარი ისტორიული საბუთებითა და ძველებურ რუსულ ნაწერების გარჩევით ორატორი ამტკიცებს, რომ მალოროსები პირდაპირი მემკვიდრენი არიან იმათი, ვინც შეჰქმნა რუსული სახელმწიფო, რომ მალოროსები ნაწილია რუსის ხალხისა. მალოროსები თავიანთი რუსული სახელმწიფოსთვის იბრძვიან და არც გაჰყვებიან თანამედროვე მაზეპისტებს, როგორც იმათი მამა-პაპა—მალოროსიის ყაზახები — რუსეთის ისტორიული გასაპირის დროს არ გაჰყვა მაზეპას. სავენკო პროტესტს აცხადებს პროფესორ ივანოვის წინააღმდეგ, რომელმაც უსაბუთოდ გააშავა კიევის უნივერსიტეტი. უნდა ვიამაყოთ უნივერსიტეტის სახელმწიფოებრივ-პატრიოტული მოღვაწეობით. ამ უნივერსიტეტში 1906 წლიდან სწავლის ნორმალური მსვლელობა არ შეწყვეტილა. (ხანგრძლივი ტაში მარჯვნით). არჩევს სამინისტროს მოღვაწეობას, ციფრების მიხედვით, და ამბობს, იგი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. ამიტომ, მე როგორც ქვმაარიტ ოქტომბრისტს, ვერ შეძიძლიან სამინისტროსთან ერთად ვიაროვო.

თავმჯდომარეობს **თ-დი ვოლკონსკი.**

ძიუბინსკი ახასიათებს საშუალო, დაბალ და უმაღლეს სკოლას; მთელი სამინისტროს მოქმედება უნდობლობითაა გაჟღენთილი; სამინისტრო არ ენდება თვითმმართველობას, მასწავლებლებს, საზოგადოებრივ დაწესებულებებს, კერძო პირთ. განსაკუთრებით უნდობლად ეკიდებიან კერძო ეროვნებათ მაში, როდესაც რუსეთისთანა მრავალ ერიან სახელმწიფოში მხოლოდ ერთა პატივისცემას, მათი კულტურისა და ენისადმი ყურადღებით მოქცევას შეუძლიან შეჰქმნას რუსეთის ქვმაარიტი მთლიანობა.

ლევაშოვი აღნიშნავს, უნივერსიტეტებს ძალიან ცოტა ფული ეძლევა. საჭიროა არა ახალი უნივერსიტეტების გახსნა, არამედ ძველების გაუმჯობესებაო.

ენიკეევი მუსულმანთა სახელით გამოსთქვამს სურვილს, მოისპოს გამარუსებელი პოლიტიკა, სახალხო განათლებინთვის გადადებული ფული სამართლიანად განაწილდეს ეროვნებათა შორის, სწავლა სკოლებში სწარმოებდეს სამშობლო ენაზე, მუსულმანთა სკოლის მასწავლებლებს მიეცეს უფლებანი სახაზინო სკოლის მასწავლებლებისა.

სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

თავმჯდომარეობს **როძიანკო.** ასარჩევია სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგი.

ძიუბინსკი შრომის ჯგუფის სახელით და **ჩხეიძე** სოციალ-დემოკრატების სახელით აცხადებენ, რომ მათი ფრაქციები არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ.

ბარათებით კანდიდატად დასახელეს ლვოვი პირველი, რომელმაც 156 ბარათი მიიღო. გაისმა ტაშისცემა მარცხნითა და ცენტრში. ისმის სიტყვები: „გთხოვთ, გთხოვთ". ლვოვი ენკენის ყრაზე თანხმობას აცხადებს. ენკენის ყრით ლვოვმა მიიღო 198 თეთრი და 83 შავი. ლვოვს ტაშითა ჰხვდებიან. იგი თავმჯდომარის ტრიბუნაზე ადის.

როძიანკო თავმჯდომარეობას გადასცემს **თ-დ ვოლკონსკის,** რომელიც პირადი საქმის გამო სიტყვას აძლევს როძიანკოს. **როძიანკომ** შემდეგი შინაარსის განცხადებით მიჰმართა სათათბიროს: სათათბიროს წევრმა ძიუბინსკიმ აქ გვიამბო, ეკატერინოსლავში როძიანკოს ხელის მოწერით გამოიცა განმარტება 17 ოქტომბრის მანიფესტისა უკრაინულ ენაზეო. ამ ჟამად ვლაპარაკობ მხოლოდ იმისთვის, რომ გავაგებინო სათათბიროს, აღვიარებ უკრაინულ ენას თუ არა. მართალია, 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის შემდეგ ერთმა ჯგუფმა მოისურვა 17 ოქტომბრის მანიფესტის ადვილად გასაგებ ენით გამოცემა. მაშინ რუსულის გარდა, გამოსცეს ასევე უკრაინული თარგმანიც. ამის შემდეგ ჯგუფმა, რომელშიაც მეც შევდიოდი, სთხოვა საერობო გამგეობებს, ეს წიგნი სოფელში დაერიგებინათ. როდესაც საერობო არჩევნები დაიწყო, მალოროსმა გლეხებმა შემოიტანეს განცხადება, თუ გადაწყვეტილია ასეთი სასარგებლო წიგნების დაბეჭდვა, ჩვენთვის გასაგებ ენაზედ მაინც დაბეჭდეთო (ტაში ცენტრსა და მარჯვნით). ამ რიგად, თუ უკრაინულ ენის არსებობის შომხრეთ და მოწინააღმდეგეთ თავიანთ აზრის დასამტკიცებლად გარკვეული საბუთი ვერ წარმოუდგენიათ, მოისმინეთ ხმა ხალხისა, რომელსაც თქვენ ენას ძალით ასვევთ კისერზე. ხალხი გთხოვთ, შრომებს ნუ გვიბეჭდავთ იმ ენაზე, რომელიც არ გვესმისო (ტაში ცენტრსა და მარჯვნით).

შემდეგი სხდომა მოჰხდება სამშაბათს.

ახალი ამბავი

ტფილისი

ჩხრეკა და დაპატიმრება. კვირას, 2 ივნის, საღამოს 9 საათზე გაჩხრიკეს ექ. ვახტანგ მუსხელიშვილის ბინა. დაპატიმრეს თვით მუსხელიშვილი, დრამატურგი გედევანიშვილი და რამდენიმე სხვა პირი.

საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი 10 ივნიის პეტერბურგს მიემგზავრება სინოდის კრებაზე მონაწილეობის მისაღებად.

მასწავლებელ ქალთა თავშესაფარის კურთხევა. 3 ივნიის, ნაშუადღევის 2 საათზე, საბურთალოზე მასწავლებელ ქალთა თავშესაფარი აკურთხეს. კურთხევის შემდეგ ინჟ. ადრიანოვმა წაიკითხა მოკლე ანგარიში თავშესაფარის ხარჯებისა. როგორც ანგარიშიდან სჩანს, თავშესაფარის შენობაზე დახარჯულა 12,000 მან. აქედან 9,000 მან. საზოგადოებას ჰქონია, ხოლო დანარჩენი მოუგროვებია ქველმოქმედთა შორის. თავშესაფარი აგებულია მაღლობ ადგილზე, ორ-სართულიანია, შეიცავს ორს დიდს დარბაზს და ექვს ოთახს. კურთხევას დაესწრნენ: მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ვატაცი, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, ქალაქის საბჭოს ხმოსნები და მრავალი მიწვეული ხალხი. სიტყვები წარმოსთქვეს: ა. ი. ხატისოვმა, ქ-ნმა ჩხეიძემ, ქ-ნმა კ. მესხმა, ქ-ნმა ა. წერეთლისამ და სხვებმა.

პროტო-დიაკონის ა. კარგარეთელის იუბილე. ორშაბათს, 3 ივნისს, 25 წლის სამსახურის აღსანიშნავად პროტო-დიაკონს ა. კარგალეთელს იუბილე გადაუხადეს. წირვის შემდეგ სიონის საკრებულო ტაძარში გორის ეპისკოპოსმა ანტონიმ სიტყვით მიმართა. შემდეგ სიტყვითვე მიმართა საქართველოს ექსარხოსმა ინოკენტიმ, რომელმაც გაუთვალისწინა იგავი კეთილ მონისა, რომელმაც არ დამარხა თვისი ქანქარი მიწაში და საკეთილოდ მოიხმარა. ექსარხოსმა სიტყვის შემდეგ გადასცა სახსოვრად მაცხოვრის ხატი. მამა კარგარეთელმა მადლობა გადაუხადა. შემდეგ იუბილარს მიუღოცა ივერიის მღვთის მშობლის ხატით და სიტყვით მიმართა სიონის საკათედრო ტაძრის ძინამღვარმა დეკ. მ. ტყემალაძემ. მილოცვები დასრულდა ქალაქის სამღვდელოების ბლაგოჩინის დეკანოზ ნესტორ მაჭარაშვილისა სიტყვით. მან სამღვდელოების სახელით გადასცა წმ. კონსტანტინეს ხატი. შემდეგ სადღეგრძელო პარაკლისი გადაიხადა ეპისკოპოსმა ანტონიმ, არქიმ. პიროსის, ნაზარეს და ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით. იუბილიარმა მრავალი დეპეშა მიიღო, სხვათა შორის, მეფის მოადგილისა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისაგან და მის მეუღლისაგან, კნ. ნ. თარხნიშვილისაგან და სხვ. იუბილარმა მიიღო საჩუქრად საქართველოს ექსარხოსისაგან ვერცხლის ჭიქა კოვზით, ხოლო არქიმ. პიროსისაგან წიგნის საჭრელი (ვერცხლისა).

ექსკურსია. 31 მაისს დიდუბისა, ნაძალადევისა და წავკისის სამრევლო სკოლების მოსწავლენი მასწავლებლთა ხელმძღვანელობით მცხეთას გაემგზავრნენ. მოსწავლეებმა დაწვრილებით დაათვალიერეს მცხეთის სამთავრო დედათა მონასტერი, აგრედვე წმ. ოლღას მონასტერი და ტფილისს დაბრუნდნენ.

ქართველი მწერალი ქალი **კნ. ნინო ორბელიანისა** ამ ჟამად ძალიან ავად არის.

ექსკურსია. 2 ივნისს, დილის 9 საათზე, ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურენი, რიცხვით 45 კაცი, ავტალას გაემგზავრნენ. ექსკურსანტებმა პირველად დაწვრილებით დაათვალიერეს შუშის ქარხანა, შემდეგ წყალსადენი. ეკსკურსანტები საღამოს ტფილისს დაბრუნდნენ.

საბირჟო ცნობები. 4 ივნისს, ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 80 კ., აძლევენ—85 მან. 50 კაპ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 50 კ., აძლევენ—83 მ. 20 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—80 მან. 50 კ., აძლევენ—80 მან.

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი, **„მოლიპულ გზაზე"** რომანი ანასტასია **ერისთავ-ხოშტარიასი.** წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი კარგ ქაღალდზე და ღირს 1 მ. 50 კ.

გამოვიდა ჟურნალ „ოქროს ვერძი"-ს № 3, შემდეგის შინაარსით: ლექსები: ი. გრიშაშვილისა და ს. ბაბაშელისა, გრიგ. რობაქიძე—ბარათები, ტ. ტაბიძე—ელეგიზარი ანდრეევისა, ს. კლდიაშვილი—ესკიზები, შ. დადიანი—ტყვე, მ. წულუკიძე—ხელოვნება და კრიტიკა, დ. კასრადე—ყარიბი მოგზაური, კონკურსი, ქრონიკა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** შემდეგი კრება 6 ივნისისთვის დაინიშნა. ამ სეზონში საბჭოს უკანასკნელი კრება 10 ივნისს მოხდება.

✦ **ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს მორიგი კრება მოხდება დღეს, 5 ივნისს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში (ბარიათინსკის ქუჩა, სახლი № 5.).

✦ დღეს, 5 ივნისს, მოხდება **მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულთა კრება.** ეს კრება კანონიერია, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, რადგან 29 მაისს დანიშნული კრება არ შესდგა.

სასამართლო

✦ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია,** რომელიც ქუთაის-ბათომ-სოხუმს იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა.

შეცდომის გამწორება.

კვირინდელს ნომერში მოთავსებულ ვაჟა-ფშაველას ლექსის უკანასკნელ სტრიქონში დაბეჭდილია „მთიდან ყვირილი **ზარისა**“ უნდა იყოს „ხარისა“.

ჩვენი სახალხო სკოლები

(დასასრული*)

ამ სკოლებთან არსებობს ბიბლიოთეკები, რომლებშიაც ერთ ქართულ წიგნს ვერ შეხვდებით, სულ სლავიანური და რუსული წიგნებით არის გამოჭედილი, რითაც ვერ სარგებლობს ვერც მოწაფე და ვერც მასწავლებელი. სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობას ორკლასიანი და ოთხ კლასიანი სასულიერო სასწავლებლები აქვთ დამთავრებული. ერთი ვიკითხოთ, რა პედაგოგიური და საზოგადო განათლება უნდა ჰქონდეთ ასეთ მასწავლებლებს. მეტოდიკაზე, დიდაქტიკაზე და პედაგოგიკაზე მათ წარმოდგენაც კი არ აქვთ. სამასწავლებლო საბჭო კი არ ზრუნავს მასწავლებელთა პედაგოგიურ მომზადებაზე, მათ თვით-განვითარებაზე. ასეთ სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობას არ მოსდის, არა თუ პედაგოგიური ჟურნალი ან გაზეთი, არამედ ყოველდღიური სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთიც კი თვალის დასანახად ენატრებათ. სამასწავლებლო საბჭო მათ არც ერთი მიმართულების გაზეთს არ უწერს თავის ხარჯით, და აბა საეკლესიო სკოლის მასწავლებელს ვინ მისცა წიგნისა და გაზეთის ფული, როდესაც სიმშილისაგან სულს ჰლაფავს. ისე აბუჩადა ჰყავთ საეკლესიო სკოლების მასწავლებლები აგდებული, რომ ზოგს სრულიად უჯამაგიროდ ამსახურებენ, ზოგს 10 მან.—15 მან. აძლევენ თვეში. სამი თუმანი თვეში ეგებ სასულიერო სემინარიაში კურს დამთავრებულთ არგუნონ. აგერ წელიწად ნახევარი მეტია, რაც იმერეთის სამასწავლებლო სკოლამ ერთ-კომპლექტიანი სკოლები ზოგიერთს სოფელში ორ-კომპლექტიანად გადააკეთა. ახალ კომპლექტებზე მასწავლებლებიც დაინიშნა. ამ ახლად დანიშნულ მასწავლებლებს უჯამაგიროდ ამსახურებენ. ხშირად ეუბნებიან მათ: დღეს, თუ ხვალ დაგინიშნავთ ჯამაგირებსო, მაგრამ წეთიწად ნახევარი გადის და მასწავლებლებს ამ ხნის განმავლობაში ერთი კაპეიკი არ მიუღიათ. ნათქვამია: „პეტრეს მოსვლამდე პავლეს ტყავი გააძვრესო“ ასევე ემართებათ ამ მასწავლებლებსაც.

იმერეთის სამასწავლებლო საბჭო კი მოითხოვს რომ ასეთ სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმე კარგად იყოს დაყენებული. იმერეთის სამასწავლებლო საბჭოსა და მის განყოფილებებში სულ ქართველები არიან წევრებად, გარდა საეკლესიო სკოლების საეპარქიო მეთვალყურისა და იმდენი ეროვნული თავმოყვარეობა კი ვერ გამოუჩენიათ, რომ 81 წლის პროგრამა მტკიცედ დაიცვან თავის სკოლებში. ღღეს 81 წლის პროგრამა ბევრი მათი სკოლიდან განდევნილია; ამ მხრით იმერეთის საეკლესიო სკოლებმა აქაურ სამინისტრო სკოლებს თითქმიც პირველი მაგალითი 81 წლის პროგრამის დარღვევისა იმერეთის სამასწავლებლო საბჭომ და მათმა სკოლებმა მისცა ქუთაისის დირექციას. და ქუთაისის დირექციაც შეუდგა ამ პროგრამის განდევნას სკოლებიდან, რაშიდაც დიდად ხელს უწყობენ ეროვნების მოძულე ზოგიერთი მასწავლებელი. ნათქვამია: „რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო“. ჩვენი საქმის დაღუპვას სხვებთან ერთად ჩვენც ხელს ვუწყობთ. როდესაც ჩვენს წმიდათა-წმიდას, ენასა და ეროვნებას, შეურაცხყოფენ, დასცინიან და სდევნიან, ჩვენ, თავის დაცვის მაგივრად, ვიღრიჯებით მათს წინაშე და დასტურს ვუკრავთ. როდემდის უნდა ვიაროთ ამ გზით?

ქუთაისის სახალხო სკოლების დირექციას განუზრახავს შეამოიღოს ერთკლასიან სკოლებში ოთხი წლის კურსი, ორკლასიან სკოლებში კი—ექვსი წლისა. აგრეთვე თითო მასწავლებელს უნდა ებაროს არა უმეტეს ორი განყოფილებისა. ეს ცვლილება კარგია, თუ მას საკეთილოდ გამოიყენებენ დირექცია და მათი მასწავლებლები. კურსის გაფართოებას, რასაკვირველია, პროგრამის გაფართოებაც მოჰყვება. ჩვენმა მასწავლებლებმა უნდა ისარგებლონ კურსის გაფართოებით და სამშობლოენის სწავლებას მეტი ყურადღება მიაქციონ. ქუთაისის დირექციამ აუცილებლად უნდა შეიტანოს პროგრამაში ჩვენი სამშობლო ისტორია, სამშობლო გეოგრაფია, ხატვა-ხაზვა, გეომეტრია, რუსეთისა და ევროპის გეოგრაფია, საბუნების-მეტყველო საგნები: ზოოლოგია, ბოტანიკა, მინერალოგია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა, ფიზიკა და სხვა. ყველა ამ საგნების მოკლედ სწავლება, ჩემის აზრით, ადვილად მოსახერხებელია ორკლასიან სკოლაში, რომელსაც ექვსი წლის კურსი ექნება. ერთკლასიან სკოლაში კი (ოთხი წლის კურსით) ზემოხსენებულ საგნებიდან ბევრი რამ შეუძლიან გაიაროს მასწავლებელმა.

მაშ ასე, მეტი სიფხიზლე, მეტი პირდაპირობა საქმეში, მეტი ეროვნული თავმოყვარეობა, თორემ წყევა-კრულვით მოგვიხსენიებს ჩვენი მომავალი თაობა.

არსტ. რამინიშვილი.

ქუთაისის განკის რწმუნებულთა კრება

31 მაისი და 1 ივნისი.

სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს, რომ ბანკის რწმუნებულთა კრება პირდაპირ თავად-აზნაურთა კრების გაგრძელებისავით მოხდა, რადგან წინა კრებაში გამწვავებული დამოკიდებულება, აქ, ბანკში გადმოიტანეს და ამიტომ კრებას საქმიანობის ელფერი დაეკარგა და ანგარიშების გასწორების ხასიათი მიიღო.

თავმჯდომარის არჩევაც კი საგიტაციო საგნად გადაიქცა და თ-მა დ. ო. ნიჟარაძემ აქაც მოინდომა იმისი დამტკიცება, რომ მას არამც თუ თ.-აზნაურობისა, ვაჭრების ნდობაც დამსხხურებული აქვს. ვაჭრები იყვნენ თუ აზნაურები ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ 75 ხმით 44 წინააღმდეგ არჩეულ იქნა თ-დ ს. ნ. ლორთქიფანიძე. პირველი დღე კრებამ მოანდომა მოხსენებათა წაკითხვას და საფინანსო კომისიის არჩევას. საფინანსო კომისიას, გარდა სმეტის განხილვისა, მინდობილი აქვს შტატის შემუშავება, მაგრამ ვეჭვობ მცირე ხანში მოხერხდეს შტატების შემუშავება.

მეორე კრება—ზედამხედველი კომიტეტის და გამგეობის ანგარიშების გაწევა და გაწმენდა იყო. გამგეობის თავმჯდომარემ თითქმის ორი საათი ილაპარაკა და მაინც ვერ დაამთავრა ზედამხედველი კომიტეტის შენიშვნების განხილვა კრიტიკული თვალსაზრისით. ხოლო თავის სიტყვას ის წაუმძღვარა წინ, რომ ზედამხედველმა კომიტეტმა არც ერთი დადებითი მხარე გამგეობის მოღვაწეობისა არ აღნიშნაო თავის მოხსენებაში, ხოლო დანარჩენი შენიშვნები, თითო ოროლას გარდა, უსაფუძვლოდ ან უმნიშვნელოდ აღიარა.

ზედამხედველი კომიტეტის წევრმა თ-მა ს. მიქელაძემ ვრცელ პასუხში თავდაპირველად აღნიშნა, რომ გამგეობის მოქმედებაში ისეთი შესანიშნავი არა არის რა, რომ იგი აღნიშვნის ღირსი ყოფილიყოს, ხოლო ზედამხედველი კომიტეტის შენიშვნები კვლავ დაადასტურა.

გარდა ზემოხსენებულ ორი პირისა, კამათში მონაწილეობა მიიღო ბანკის იურისკონსულტმა ბ-ნმა კვიტელიამ, რომელმაც გარდა იმისა, რომ ზედამხედველ კომიტეტსს შენიშვნები დაადასტურა, სხვა მაგალითებიც მოიყვანა იმისა, რომ საიურისკონსულტო საქმე ჯერ დაწყობილი არ არის და მას ყურნდღება და შრომა ეჭირვება რომ სამშვიდობოზე გამოვიდეს.

ბ-ნი სოლ. მიქელაძის სიტყვა თ-მა დ. ო. ნიჟარაძემ საგიტაციო იარაღად გამოიყენა და აღძრა საკითხი—შესაძლებელია თუ არა ოლქის სასამართლოს წევრი ზედამხედველი კომიტეტის წევრი იყოს და თითონვე გასცა პასუხი—არაო.

თ-დ დ. ო. ნიჟარაძეს უპასუხეს ნ. ფ. თავდგირიძემ და სხვებმა. როცა თავმჯდომარემ საკითხი გამორკვეულად სცნო, ბ-ნ ალ. კრინიკიმ პროტესტი განუცხადა და თავის სიტყვაზე გამგეობისა და კომიტეტის მოხსენებათა შესახებ უარი სთქვა.

კამათი ღამის 12 საათამდის გაგრძელდა და განხილვა მოხსენებათა ვერ დამთავრდა.

დამავიწყდა აღმენიშნა, რომ კრების დასაწყისში კრებამ ერთხმად დამტკიცა 1912 წლის საფინანსო ანგარიშა.

კრების გაგრძელება 2 ივნისს მოხდა.

სალიტერატურო საღამო იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად

(წერილი ქუთაისიდან)

შაბათს, 25 მაისს, ქალაქის ორკლასიან ქალთა სასწავლებელში მასწავლებელი ქალების თაოსნობით და შრომით გაიმართა განსვენებული ი. გოგებაშვილის სახსოვრად სალიტერატურო საღამო, რომელსაც დაესწრო ქალაქის სკოლების მასწავლებელ-მოსწავლეთა გარდა აუარებელი საზოგადოება. საღამოზე მოწვეული იყვნენ ქალაქის თავი, გამგეობის წევრები, სასწავლებელთა გამგე კომისია, ქართული გიმნაზიისა და სხვა სასწავლებლის მასწავლებლები. საღამო შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან, სცენა კოხტად იყო მორთული. შვიდი საათის ნახევარზე აიხადა ფარდა. პირველად წაიკითხეს ი. გოგებაშვილის ბიოგრაფია, შემდეგ მოჰყვა პატარა მოსწავლე-ქალების მიერ მშვენიერი დეკლამაციით ჩვენი მწერლების სხვა და სხვა ლექსის კითხვა, ჩინებულად წარმოადგინეს „ბავშების ექიმთან“, „წითელი ყვავილი“—ლუკა შევჩისა და „დედა და შვილი“ ი. ჭავჭავაძისა. მოსწავლე ქალთა მოღერალმა გუნდმა სერ. ლოხაძის ლოტბარობით საუცხოოდ შეასრულა შემდეგი სიმღერები: „სამშობლოს“ „მე ჩონგური მისთვის მინდა“, „თამარის დროშა გაშალეს“, „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, „მივალ გურიაში მარა“, „ქორმა წიწილა წაიღო“. ბოლოს დადგეს ცოცხალი სურათები: ანგელოზი და ბავშვი და გაზაფხული: დასასრულ გაიმართა „დამა-კავალერთა“ ცეკვა, რომელთა როლებს ასრულებდნენ ისევ მოსწავლე გოგონები, ეროვნულ ტანისამოსით გამოწყობილნი. საზოგადოდ საღამომ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, რომელმაც ტაშის ცემით და „ვაშას“ ძახილით დააჯილდოვა პატარა მსახიობნი. მიდლობის ღირსნი არიან მასწავლებელნი—ქალები და გალობის მასწავლებელი ს. სოხაძე, რომელებმაც მთელი ერთი კვირის განმავლობაში დიდი შრომა გასწიეს და ჩინებულად მოამზადეს მოსწავლე-ქალები საღამოსათვის, აგრეთვე მსახიობი ა. გუგუშვილი დახმარებისათვის. საჭიროა ქალაქის გამგეობამ დახმარება აღმოუჩინოს ამ სასწავლებლის გამგე ქალს თ. მაჭავარიანის ასულს, რომელსაც განზრახვა აქვს სცენის მოწყობილობა და მორთულობა შეიძინოს სასწავლებლის დარბაზისათვის, სადაც წელიწადში ერთხელ-ორჯერ რიგ-რიგობით გამართავენ ქალაქის სკოლების მასწავლებელნი სალიტერატურო დილა-საღამოებს ღირიბ მშობლების მოსწავლე ბავშვთათვის.

ლადო ბზვანელი.

პიევის სტუდანტობა

ამა წლის თებერვლის დამლევს კიევის უნივერსიტეტის სათვისტომოს და სხვა უმაღლეს სასწავლებელთა ქართველებს მოუვიდათ საანკეტო ფურცლები პეტერბურგს ქართვ. სტუდენტთა სამეცნიერო წრისაგან. ანკეტის მიზანია ქართველი სტუდენტობის ყოფაცხოვრების და ფიზიონომიის გამორკვევა. რადგან საანკეტო ფურცლის ნიმუში უკვე დაბეჭდილი იყო „სახ. გაზეთში“, ამიტომ აღარ გავიმეორებთ, თუ რა შინაარსისაა იგი.

უნივერსიტეტის ქართვ. სათვისტომო შეეცადა ფურცლები ყველა სტუდენტისათვის დაერიგებინა. მართლაც, დარიგდა ას ორმოც ფურცლამდე. ამათში დააბრუნა ას ორმა კაცმა. ვიდრე პეტერბ. სამეცნიერო წრეს გაუგზავნიდა, ეს ფურცლები კიევის ქართ. სათვისტომოს გაჭგეობამ გახსნა კონვერტები და ერთის თვალის გადავლებით, აი რა აღმოჩნდა.

უპირველესად ყოვლისა შევეხებით წოდებრიობას. თუ დავაკვირდებით ქვემოყვანილ ციფრებს, მივხვდებით, რომ ზოგიერთების ძახილი, სტუდენტობა თავად-აზნაურულია და იმიტომ „ნაციონალისტებს“ ემხრობაო, ტყუილია. იმ ას ორ კაცში, რომელთაც დააბრუნეს საანკეტო ფურცლები აღმოჩნდა: თავადი—ორი, აზნაური—30, გლეხი—22, სასულიერო—16, მოქალაქე—18. მაშასადამე გლეხები, სასულიერო წოდებისა და მოქალაქენი, ეგრედ წოდებული „რაზნოჩინცები“, შეადგენენ სტუდენტობის 56%-მდე. ზოგიერთს ალბად უყურადღებლობის გამო, დაჰვიწყნია დაეწერნა ამ საკითხის პასუხი.

თუ პროვინციელობას, ეროვნულ ყურადღებას, ყველაზე მეტნი დასავლეთ საქართველოელნი აღმოჩნდებიან.

საინტერესოა აგრედვე ვის რა გვარი სასწავლებელი გაუთავებია. ამ საკითხს ყველა არ უპასუხებს. დათვლის დროს აღმოჩნდა, რომ შედარებით ყველაზე მეტი პროცენტი კიევისათვის ქართულ გიმნაზიას მიუცია—38 კაცი. შემდეგი ადგილი უჭირავს მთავრობის გიმნაზიას და ძლიერ ცოტას, სულ ორ-სამ კაცს დამოუკიდებლად უმუშავნია და ექსტერნად დაუჭერნია ეგზამენი.

უმეტესობა სტუდენტობისა რაიმე სტუდენტთა ორგანიზაციაში ირიცხება: უმეტესობა სათვისტომოში, ზოგიერთნი კიდევ სალიტერატურო-საპოლიტიკო წრეებში.

იმ საკითხს, რომელიც შეეხება ქართულ ლიტერატურა—ისტორიას, ყველა როდი უპასუხებს. ლიტერატურა და ისტორია კარგად ძლიერ ცოტას, სულ 12 კაცს სცოდნია. უმეტესობა კი უპასუხებს, საშუალო ცოდნა მაქვსო. ბევრიც მოისუსტებს.

ფაკულტეტების განაწილება შემდეგია: ყველაზე მეტი სტუდენტი ყოფილა სამედიცინო ფაკულტეტზე—46 კაცი. საბუნებისმეტყველოზე—9, საფილოლოგიოზე 14, იურისტი 14, მათემათიკოსი—15.

პარტიობა შემდეგ ნაირად ნაწილდება: პირველი ადგილი უჭირავთ სოციალისტ-ფედერალისტებს, რომელიც შეადგენენ თითქმის ნახევარს—50 კაცია (50%-მდე). შემდეგ არიან სოციალ-დემოკრატები—24 კაცი, ესე იგი 24-პროცენტამდე, ანარქისტი—3, პროგრესისტები—4, სეპერატისტები—4, ნაციონალისტი—4, ავტონომისტ-დემოკრატი—1. ს. რევოლუციონერი—3. ზოგიერთი არ უპასუხებს ამ საკითხს, ზოგი კიდევ ხუმრობს, ზოგი ამბობს არავს თანაუგრძნობო.

ამნაირად კიევის ახლანდელ ქართველ სტუდენტობაში ორი უმთავრესი მიმართულებაა: სოციალისტ-ფედერალისტებისა და სოციალდემოკრატებისა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ საანკეტო ფურცლებს, რომელიც საკომერციო ინსტიტუტში მოაგროვეს, სურათი მაინც არ იცვლება: უმრავლესობას შეადგენენ სოციალისტ-ფედერალისტების თანამგრძნობი ახალგაზრდები და მეორე ადგილი კი უჭირავთ სოც.-დემოკრატებს. რასაკვირველია არ შეიძლება ითქვას, თითქოს ყველა აქ დასახელებული შეგნებული თანამგრძნობი იყოს ამა თუ იმ პარტიისა, მაგრამ ეს ციფრები მაინც ყურადღები და საგულისხმოა...

ჟ. რ.

„კახეთი“-ს საზოგადოებაში

2 თიბათვეს მოხდა კახელ მევენახეთა საზოგადობას „კახეთის“ წევრთა მორიგი საერთო კრება. კრება გახსნა სარევიზიო კომისიის წევრმა გ.

ძველი ტრული სინტეტიზმი

(ესკიზი რიჰარდ ვაგნერის შესახებ).

აი, თვალ-წინ ცოცხლად მიდგას ადამიანი, რომლის სახე რთული, მდიდარი სტიქიონია. მისი ფართო, ორიგინალური კვეთილი შუბლი და ღრმა, უშრეტი ვნების ცეცხლით აღგზნებული, თვალები მოწმობენ მის ზენაარაობას, არა ამ ქვეყნიურ ბუნებას. აგი თითქოს მარტოოდენ დაჩიმულ ძარღვებისა და გრძნობიერ ნერვებისაგან ქსოვილა და ამ მტკიცე ჭურჭელში მომწყვდეულია, მხატვრულ მშვენიერების წყურვილით დაცხრილული სული; სული, რომელიც მის ბუნებას აკაჟებდა,—რომლისთვისაც თითქოს არავითარი დაბრკოლება არ არსებობდა აქ ქვეყნიურ ხასიათისა; დიახ, ეს ის სული იყო, რომელიც კაცობრიობას საუკუნოებით ევლინება და თვისი ამოცანური ბუნებით ანცვიფრებს ათასნაირად შებორკილს და შეზღუდულს, თანამედროვე კულტურულ ადამიანს. ამ ტიტანების წინ ყოველი რეალური ხასიათის დაბრკოლება და პიროგები იმსხვრევა და ცამტვერდება; იგინი კი ქედმოუხრელად, ამაყად მიიწევენ წინ, ვარსკვლავებისაკენ...

ვხედავ ვაგნერის სახეს და ყოველი მისი ნიჭი მსოფლიოს გულზე აბობოქრებულ, ენიმორეულ ზღვად მეშლება თვალ-წინ და მისი სვლა ისეთივე ამაყია, როგორიც, მისებრ დიად-ბუნებოვან ადამიანის, ბალზაკისა. მას ამაყად მოუსხამს მანტია და მედიდურად, მძიმე ნაბიჯით, მტკიცედ მიიწევს წინ, ოდნავ თავაღერილი. თქვენ ჰგრძნობთ, რომ ეს გზა სწორია და აფართოვებს საზღვრებს. ამ იდეალის ძლევა-მოსილებას დიადი მხატვარიც ამჩნევდა, და თუმცა იგი იდეალი შორს იყო, მაგრამ მაინც აღტაცებით მღეროდა გამარჯვების ჰიმნს პატარა ბაირეიტში, საცა იგი იჯდა ხელოვნების მეფედ ძლევა-მოსილ ტახტზე და საითკენაც ემართებოდა ყოველ კულტურული ადამიანი და მათ შორის ფრიად წარჩინებულნი და მეფეც. ამის შესახებ ერთხელ მან სთქვა: „მე ბევრჯერ მსმენია, რომ ხელოვანნი მიდიოდნენ მეფეებთან და მის წინ ქედს იხრიდნენ, მაგრამ აქამდე არ მომხდარა, რომ თვით მეფენი ხლებოდნენ ხელოვანს და მის წინ მოწიწებით თავი მოეხარათ“. ასეთი ზღაპრული და საარაკო შეიქმნა ეს პატარა, ყველასაგან უცნობი, ქალაქი ბაირეიტი მას შემდეგ, რაც რიჰარდ ვაგნერმა აქ ააგო საკუთარი თეატრი, საცა მიიპატიჟა მთელი ევროპის საუკეთესო აქტიორნი და თავისი მუსიკალური დრამები მხატვრულად დასდგა.

* * *

ადამიანის ბუნება იბრძვის, რომ ყოველი საიდუმლოებრივი ძალა ემპირიულად ახსნას, ფხიზელის თვალით იხილოს და გაზომოს. და, როცა იგი ამ მხრივ უმწეობას განიცდის, მაინც სცდილობს—რეალურად სახულ ქვეყნის საზღვრებში, წარმოიდგინოს მისი სიმბოლო... მას უნდა თვით ეს სიმბოლო ფორმით მაინც ატარებდეს. რეალურად ხილულ საგანთა სახეს. და ამ რეალურ სიმბოლოში, როგორც ჭურჭელში ათავსებს განცდილ იდუმალობის ძალას. საიდუმლო, ძლიერი მსოფლიო მოვლენანი ამ ბუნებით უკავშირდება დედამიწის რომელიმე ადგილს და ამ ადგილისაკენ, როგორც ცენტრისკენ (центръ) იმართება ყოველი ჩვენგანის აზრი და გონება. აქ რეალურია **ადგილი,** საითკენაც იწევს ჩვენი გონება და **სივრცე** ჩვენსა და ამ ადგილს შუა და ამ ორგვარის რეალობით ადამიანი ურიგდება აუხსნელ საიდუმლოების ძალას. ქრისტეს ბუნებაში მომწყვდეული საიდუმლოება მსოფლიოს იპყრობს ჯ მაინც აუხსნელი რჩება; კაცობრიობა პალესტინისაკენ აპყრობს თვალს და ამ წმინდა ადგილს, იერუსალიმს, სახავს **ნამხელ რეალობად!** მას სწამს, რომ ამ რეალურ ფორმაში მომწყვდეულა ღვთიური ძალა და, რამდენადაც უახლოვდება იერუსალიმს, იმდენად ღვთიური ექსტაზი იპყრობს მას; და უსაზღვროდ უხარის, რომ რეალურის საზომით შეუძლია გამოიანგარიშოს სივრცე მისსა და იმ ქალაქის მორის, რომელიც ფორმაა მისტიურ შინაარსისა. ბაირეიტი პატარა იერუსალიმია და მისი ქრისტეც რიჰარდ ვაგნერია იმ განსხვავებით, რომ იგი თანამედროვეთ ჯვარს არ უცვამთ და სასტიკად არ უწამებიათ. მას, ვისაც ატყვევებს ხელოვნების ძალა თვისი საიდუმლოებით, არ შეუძლია ამ უცნობის ერთ სიმბოლოდ არ წარმოიდგინოს ეს პატარა ქალაქი; არ შეუძლია აქეთკენ არ ილტვოდეს და მას არ სცნობდეს საიდუმლო მხატვრულ ცეცხლის რეალურ ფორმად...

* * *

ჭეშმარიტად, ამ ადამიანში დაბუდებულა ძველი ელინის მტკიცე და ამაყი სული; იმ ხელოვან ელინისა, რომლისთვისაც არ არსებობდა ხელოვნების განსაზღვრული მხარე და რომელსაც მარტოოდენ **მთლიანი, დამთავრებული** ხელოვნება სწამდა. ელლინი-ხელოვანი თვის მდიდად ფანტაზიით ჰქმნის ძვირფას მხატვრულ სახეებს, სთხზავს მომხიბლავ არაკს ხმოვანის ჰეგზამენტრით და ამ შემოქმედებას თვითვე დამღერს სადა, მაგრამ მომხიბლავ საკრავზე მატყვევებელის ხმით. მთელი მისი ზესთაბუნება მხიარულსა და ცხად ფორმაში ისხმის და მუსიკის სახით რითმიულად გამოკრთის. მუსიკალური პოეზია და მუსიკა პოეტური—და ყველა ეს შესაფერ მიმიკასა და პლასტიურ ტანის რხევას უკავშირდება. ლამაზი და ფერადი სული მხატვრისა ამთავრებს გარეგნულ სილამაზეს სხეულისას, ფორმისას და მათი ჰარმონიულ შეთანხმება ჰქმნის **სინტეზს** მშვენიერებისას, რომელსაც ასე აფასებს ელინი. პოეზია, მუსიკა და პლასტიკა ერთად შეყრილან და ხელოვნების სინტეზად ქცეულან.. მთლიანი, ხალისიანი და მტკიცე ვნების მატარებელი ბუნება ელინისა სავსებით იტევს ამ მრავალმხრივობას და მას არა სწამს დარღვეული ხელოვნება, არა სწამს ნაწილი; ცხადი დღე და ნათელი მზე მთელ არე-მარეს აშუქებს და მისი მომხიბლავი სხივები „ვარდთა და ნეხვთა სწორედ მოეფინების“... დღევანდელი ადამიანის სულის მთელობა დაირღვა, მისი ნება იჭვმა გასტეხა და ვნება უძლურებამ დააცხრო; მკრთალი მზე, ცრიატი დღე ვერ უნათებს მას მთელ არეს, და მისი ცრემლშეგუბებული თვალი მარტოოდენ ნაწილებსა და ნაკვეთებს ამჩნევს. დღეს მას არც მტკიცე, მთლიანი ხელოვნება ესმის და ის ან მარმარილოში ეძიებს სახეს, ან ჰანგებში კვნესის ხმას, ან სიტყვაში ვარამის შლას. აქ ეყრება საძირკველი ხელოვნების დიფერენციაციას, მის ჩღვევას, რომელიც ამას შემდეგ სამ მთავარ ნაწილად მიდის; პლასტიკა შორდება პოეზიას და ორთავენი სცილდებიან მუსიკას. ყოველ ამ ნაწილის განვითარება უფრო ინტენსიურია, მაგრამ რამდენადაც ისინი სცილდებიან ერთმანეთს, იმდენად მეტადვენდება მათი სპეციფიური სახე, რომელიც საბედისწეროდ ხდება მათ ხელახლ შეერთების საქმეში. დღევანდელი ადამიანის დარღვეული სული უკავშირდება ერთს ამთგანს და მის ძალაში პოულობს საშუალებას სულის ტრაგედიის მხელისას ჯ ლამაზად ნამეტავნი კვნესა უმსუბუქდება მას. აქ არის საიდუმლოება იმ წყურვილისა, რომელიც ერევა თანამედროვე ადამიანს, ხელოვნების წინაშე მდგარს. მაგრამ, სამაგიეროდ მას არ ესმის მთლიანი ხელოვნება და მის წინ, როგორც საიდუმლო სფინქსისა, თავდახრილი და უმწეოდ გამოიყურება; იგი ვერ ესხეულა ელინთა მთლიან, ხალისიან განცდასა და სინტეტიურ ხელოვნებას და მისი გაკვირვება და გაოცება ამ საიდუმლო ხილოვნების წინ უგულო და ცივია. ამაშია ტრაგედია ელინურ ხელოვნების და კერძოდ სინტეტიურ ხელოვნების აღდგენისა, ტრაგედია, რომელიც ვაგნერის ცდასაც დღეს-დღეობით საბედისწეროდ ხდის. მაგრამ, სამაგიეროდ, როგორც იდეალი ხელოვნებისა, იგი ძვირფასია კაცობრიობისათვის — რომელიც, განთავისუფლებული ყოველგვარ მოზობისაგან, მომავალში რამდენიმედ მაინც აღადგენს სულის სიმთელეს, უკუჰყრის იქვებს და ხალისიანად შეხედავს მზის ნათელ სხივებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რცხილაძემ და წინადადება მისცა კრებას თავმჯდომარე აერჩიათ. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა თავ. **ს. ვახვახიშვილი.** მდივნად აირჩიეს თავ. ნ. აბაშიძე. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას და აგრედვე საზოგადოების წევრის თავ. ი. ჭავჭავაძის ხსოვნას.

თავ. ვ. ვაჩნაძე. როდესაც კრება თელავიდან ტფილისში გადმოიტანეს, დაასაბუთეს, რომ აქ მეტი წევრი შეიკრიბებოდა. ეხლა კი ამას ვერა ვხედავთ. რა ზომები იყო მიღებული იმისათვის, რომ ტფილისში მყოფი ყველა წევრი დასწრებოდა კრებას?

გამგეობის თავმჯდომარე თავ. **ლ. ვაჩნაძე,** წესდების მიხედვით გამოცხადებული იყო გაზეთებში და წერილებიც დაეგზავნათ. მგონი აქ ყველა წევრია, ვინც ტფილისში იმყოფება.

თავ. ვ. ვაჩნაძე. ისეთი შთაბეჭდილებაა თითქოს ამაზე მეტი წევრი არ შეიკრიბება.

თავმჯდომარე. წესდების 36 მუხლის ძალით თათბირი ან თელავში ან ტფილისში ხდება ხოლმე. და ეს საკითხი ყოველ კრებისათვის თვითონ საზოგადო კრებამ უნდა გადასწყვიტოს. ამ საკითხს გადასაწყვეტად ჩვენ კრების ბოლოს დავაყენებთ.

კრება გადადის ანგარიშების განხილვაზე.

თავ. ვ. ვაჩნაძე. ანგარიშები დაწვრილებით არის შედგენილი, მხოლოდ ზოგიერთი ციფრები გაუგებარია. აქ კი უმეტესობას განმარტება ესაჭიროება. ამიტომ საჭიროა ანგარიშებთან მოხსენების წარმოდგენაც.

თავ. ლ. ვაჩნაძე. გამგეობა სიტყვიერად ეცდება ყოველი გაუგებარი ციფრი აუხსნას კრებას და დაწვრილებით გააცნოს საქმის ვითარება.

მდივანი კითხულობს სარევიზიო კომისიის მოხსენებას, რომლითაც ის ანგარიშებს სწორედ შედგენილად სცნობს და კრებას წინადადებას აძლევს ანგარიშები დაამტკიცოს. კრებამ ანგარიშები ერთხმად დაამტკიცა.

თავ. ლ. ვაჩნაძე კითხულობს გამგეობის მოხსენებას წევრების შესახებ. არიან წევრები, რომელნიც წესდების დავალებას არ ასრულებენ, არიან ისეთნიც, რომელნიც თითონ უარს აცხადებენ წევრობაზე; გარდა ამისა ბევრი მსურველია წევრად ჩაწერისა; შემდეგ მოხსენება ეხება საზოგადოების ფინანსიურ მხარეს. მოყვანილია დაწვრილებითი ცნობები დარჩენილ ღვინისა. ღვინო სარდაფებში კარგა ბლომად არის შენახული, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოება მოღონიერდა და საქმე კარგ დონეზეა დაყენებული.

თავმჯდომარე ვისა სურს ანგარიშის შესახებ ლაპარაკი?

